პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 10 მარტი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 53 (741) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

## ამიერ-კავკასიის გლეხობის და სასოფლო მეურნეობის საკითხები მესამე სესიაზე.

მთავარი საკითხი რომელზედაც ჩერდებიან ყველა პარტიული თუ საბჭოთა ყრილობები ამ უკანასკნელ ხანებში არის გლეხობის საკითხი. საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიის მთავარი ყურადღებაც ამ საკითხისკენ იყო მიმართული.

როგორც ამხანაგ რიკოვის ისე ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენებები უმთავრესად ჩერდებოდენ ამ კითხვაზე. სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა, მისი წინ წაყვანა, სტიქიურ უბედურობისაგან დაზარალებულ გლეხების დახმარება, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა ყველაფერი ეს დაწვრილებით გაარჩია სესიამ.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება სესიამ მიაქცია ამიერ-კავკასიის გლეხობას და სასოფლო მეურნეობის წინ წაწევის საქმეს.

გაარჩია რა დაწვრილებით ყველა ეს საჭირბოროტო საკითხები, სესიამ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა მათი მოსაგვარებლად.

პირველ და მთავარ დადგენილებათ ამ მხრივ უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირება. მიუხედავათ იმისა, რომ სასოფლო სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამი დიდათ ნაკლები არის წინამდე არსებულ ნორმასთან, სესიამ ის კიდევ შეამცირა 25 პროც. ეს უდიდესი დახმარება არის მშრომელი გლეხობის მეურნეობისათვის. გარდა ამისა სესიამ გამოიტანა მტკიცე გადაწყვეტილება, რათა გადასახადის აკრეფის წესები გაუმჯობესებული და მოწესრიგებული იქნას.

სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან საბრძოლველად სესიამ ამიერ-კავკასიის მთავრობას გადასცა დამატებით ორი მილიონი მანეთი.

სესიამ უდიდესი ყურადღება მიაქცია სასოფლო მეურნეობის დამუშავების გაუმჯობესების საკითხს.

ამ მიზნით მან დაადგინა, რათა სასოფლო-სამეურნეო ბანკის თანხები გადიდებულ იქნას რომ ამ უკანასკნელს შეეძლოს შეღავათიან სესხის სახით დაეხმაროს სოფლის მეურნეობას მისი ტეხნიკის გაუმჯობესებაში. სესიამ დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და მომხმარებელ კოოპერაციას.

სესიამ დაავალა მთავრობას ძლიერ შეამციროს ღვინის აქციზი, რომ ამით ხელი შეუწყოს მეღვინეობის განვითარებას და გლეხობასაც დაეხმაროს. სესიამ დაადგინა აგრეთვე შეუმცირდეს გადასახადები შინამწარმოებლებს (კუსტარებს).

სესიამ აგრეთვე დიდი ყურადღება მიაქცია გლეხთა მასების ძირითად საბჭოთა აპარატების მუშაობაში ჩაბმის საკითხს.

ერთი სიტყვით სესიის ყურადღებას არ გამორჩენია არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება გლეხობას და სასოფლო მეურნეობას.

ყველა ეს საკითხები მან გადასჭრა ისე, როგორც ეს სურს თვით მუშებს და გლეხებს.

და მათი დახმარებით და ხელის შეწყობით მუშურ-გლეხური ხელისუფლება შესძლებს ყველა ამ გადაწყვეტილებების ნაყოფიერად განხორციელებას.

## საფრანგეთ-საბჭოთა ეკონომიურ ურთიერთობის დასაწყისი.

საბჭოთა ფანჩატურის დათვალიერების შემდეგ ერიომ განუცხადა როსტას კორესპონდენტს: „ვულოცავ“ თავისთავის, რომ მოვიწვიე საბჭოთა კავშირი ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად, იმედი მაქვს, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ბაზრობაზე—ეს იქნება საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის შორის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის შესავალი.

## ამხ. კრასინი ლიონის ბაზრობაზე.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში—ამხ. კრასინი მივიდა ლიონის ბაზრობაზე.

იმავე მატარებლით ბაზრობაზე მივიდა ერიო.

# ახალი რადიო-ამბები

## ერიო აღტაცებულია საბჭოთა ფანჩატურით (პავილიონი).

ერიომ დაათვალიერა ლიონის ბაზრობა. დათვალიერება დაიწყო მან საბჭოთა ფანჩატურით, სადაც მას მიესალმა კრასინი და გააცნო გამოფენილი ექსპონატები (ნიმუშები).

ერიომ მიულოცა კრასინს და გამოსთქვა თავისი აღტაცება ნიმუშების სიმდიდრისა და საბჭოთა ფანჩატურის კარგი მოწყობის გამო.

## ოსმალეთის ამბები.

ოსმალეთის მთავრობამ უზრუნველყოფის კანონის ძალით დახურა რამოდენიმე ოპოზიციონური გამოცემა, მათ რიცხვში კომუნისტური გაზეთები „აიდინლიკი“, „იოლა“ და „ჩეკიჩი“.

## აჯანყებულთა რაიონებში ცვლილება არ მომხდარა.

ოსმალეთის ოფიციალური ცნობის თანახმად, არავითარი სერიოზული ცვლილება არ მომხდარა აჯანყებულ რაიონებში.

## ქემალ-ფაშის მოწოდება.

ქემალ-ფაშამ მიმართა მოწოდებით ოსმალეთის მოსახლეობას, არმიასა და მოსამსახურეებს.

მოწოდებაში ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აჯანყება, რელიგიური ნიღაბ ჩამოფარებული, ისახავს კონტრ-რევოლიუციონურ მიზანს. აჯანყება ხელს უშლის მშვიდობიან მუშაობასა და ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას. მეჯლისი და მთავრობა ღებულობენ საჭირო ზომებს. მოსახლეობა, არმია, ადმინისტრატიული ორგანოები, პოლიცია და ჟანდარმერია უნდა გაიმსჭვალონ მოვალეობის შეგნებით, დაეხმარონ მთავრობას, აასრულონ მთავრობის ბრძანება და განკარგულება, რომლის მიზანია აჯანყების ლიკვიდაცია.

## ჩემბერლენი დუმერგთან.

„ზრუნავენ“ საქვეყნო საქმეებზე.

7 მარტს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დუმერგმა მიიღო ჩემბერლენი. შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საუზმე, რომელსაც დაესწრო ერიო, ბრიანი და საკავშირო სახელმწიფოების ელჩები. ოფიციალური ცნობის თანახმად ჩემბერლენსა და ერიოს ორი თათბირი ჰქონდა.

## სუნ-იატ-სენის მოწოდება.

„სუნ-იატ-სენი ახლად გამოშვებულ, გომინდანის მემარცხენე ფრთის ორგანოში სწერს:

„იმპერიალიზმი მთავარი ძალაა, რომელიც ხელს უშლის ახალ, დამოუკიდებელი ჩინეთის შექმნას“. ის მოუწოდებს სახალხო მასებს გაერთიანდენ გომინდანის პარტიის გარშემო მჩაგვრელების წინაამდეგ საბრძოლველად.

## სადულის გასამართლება

საფრანგეთის კომუნისტის, ამხ. სადულის გასამართლება დაიწყება ორლეანის სამხედრო სასამართლოში 31 მარტს.

## ოქროს ჩერვონცების პირველი პარტია.

სახელმწიფო ბანკმა დაუკვეთა ფულის მჭრელ განყოფილებას სამი მილიონი ცალი ოქროს ჩერვონეცი. მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდი მოჭრილ უნდა იქნას 60 მილიონი ოქროს ფული.

1926 წელში სახელმწიფო ბანკის მთელი მარაგი მოჭრილი იქნება ოქროს ჩერვონცებათ.

## ამხ. კორკის დაჯილდოება.

8 მარტს საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს წევრის, ორჯონიკიძისა და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის, ამხ. ორახელაშვილის თანდასწრებით, საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანმა—ამხ. ენუქიძემ გადასცა კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სარდალს ახლად დანიშნულ ამხ. კორკს ოქროს ხმალი ჯილდოდ ვრანგელის წინაამდეგ ბრძოლისათვის პერეკოპთან.

## ვანდერველდე „ამშვიდებს“ მასებს.

ბელგიის პარლამენტი გაშვებულია. არჩევნები საკანონმდებლო დაწესებულებაში დანიშნულია 5 აპრილს. იუწყებიან, რომ ვანდერველდე თანახმაა შეყვანილ იქნან ბელგიის მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები მთავრობაში, რათა ამ გზით დაამშვიდოს სახალხო მასების მღელვარება, რომელიც გამოწვეულია ფინანსიური კრიზისით ბელგიაში.

## ჩინეთის ამბები.

მანჯურიის გენერალ—გუბერნატორმა ჩჟან—ცზო—ლინმა განაცხადა:

„თუმცაღა სუნ-იატ-სენი ზედმიწევნით პატიოსანი კაცია და შრომობდა ხალხის საკეთილდღეოთ, მაგრამ სამხრეთ—ჩინეთის გაერთიანების საქმე დაჩქარებულ იქნება მისი გარდაცვალებით.

სანამ არსებობს გომინდანის პარტია, ჩრდილოეთის და სამხრეთის დაახლოება უბრალო ოცნებაა. გომინდანი მავნე ორგანიზაციაა, რომელიც სუნ—იატ—სენის გარდაცვალების შემდეგ, უთუოდ დაიშლება“.

ჩჟან—ცზო—ლინი უარყოფს ხმებს, რომ თითქოს მას პრეზიდენტობა სურდეს.

## სამხედრო მინისტრის გადადგომა.

ჩინეთის სამხედრო მინისტრი—გენერალი უ—ჩა—სინი გადადგა. როგორც ამბობენ მისი გადადგომა გამოწვეულია მუკდენთან უთანხმოებით.

## მოსალოდნელია ჩჟან-ცზო-ლინის და ფინ-იუი-სიანის ჩარევა საქმეში.

პროვინციებში გრძელდება სამხედრო მოქმედება.

ამბობენ, რომ თუ ომი გაგრძელდა, შესაძლებელია საქმეში ჩაერიონ ჩჟან—ცზო—ლინი და ფინ—იუი—სიანი.

## 140 პოლონელ კომკავშირელის დაპატიმრება.

ლოძის მქსოვთა პროფკავშირების სახლში დააპატიმრეს 140 კომკავშირელი, რომლებსაც კრება ჰქონდათ გამართული.

# საკავშირო ცაკის მესამე სესია.

## 5 მარტის საღამოს სხდომა.

## ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება.

(დასასრული).

ამხანაგებო, ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ გლეხობას სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესებაში.

როგორც ყოველთვის ამ საქმეშიაც ჩვენ ამხ. ლენინის დარიგებით ვსარგებლობდით.

**ამ ჟამათ ამიერ-კავკასიაში რამოდენიმე ათიათასი დესეტინა მიწას ვრწყავთ**, გაგვყავს ახალი არხებიც და თანდათან ვაფართოებთ სარწყავი არხების ქსელს.

მაგრამ მარტო ეს არ კმარა. გლეხს სესხითაც უნდა დავეხმაროთ.

ჩვენ გვაქვს სასოფლო-სამეურნეო ბანკი, მაგრამ მას ძალიან ცოტა თანხა აქვს და ამიტომ, მაინც და მაინც დიდს დახმარებას ვერ უწევს ჩვენს გლეხობას.

დახმარება კი წელს მაინც, უსათუოდ საჭიროა ამიერ-კავკასიის გლეხობისათვის, ის ძალიან დაზარალდა დიდი ზამთრის გამო. დიდი თოვლის გამო, გაწყდა ბევრი საქონელი, გაფუჭდა ვენახები, დაზარალდა ს. სარგებლო მცენარეები აჭარაში და სხვა. შეძლებისდაგვარათ ჩვენ უნდა დავეხმაროთ გლეხობას სესხის სახით და კოოპერაციის საშუალებით, როგორც მოგახსენეთ, ის თანხები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ბანკს მოეპოება, სრულებით არ არის საკმარისი. ამიტომ ჩვენ მოგვიხდება სხვა ახალი წყაროების გამოძებნა.

### სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

უნდა გამოვტყდეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ჩვენში ერთობ სუსტია. ეს იმიტომ, რომ ის შედარებით ახალი საქმეა ჩვენში. მის განვითარებას ძალიან ხელს უშლის თანხების ნაკლებობა. თითქმის ასეთივე მდგომარეობაშივეა ჩვენი მომხმარებელი კოოპერაცია.

**შემდეგ ამხანაგი ორახელაშვილი შეეხო შინა-ვაჭრობის და გზების მდგომარეობას ამ.-კავკასიაში. მან აღნიშნა რომ ამიერკავკასიის გზები თითქმის არ არსებობს,** რაც არის, ისიც გაფუჭებულია და შესაკეთებლად დიდ მუშაობას მოითხოვს.

ამხ. მამია შეეხო აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმეს და სთქვა, რომ მომავალში გლეხობას მეტი საშუალება მივსცეთ მიიღოს მონაწილეობა მის განაწილებაში.—რაც შეეხება ჩვენ სახელმწიფო შემოსავალ-გასავალს უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ არა ვართ უკმაყოფილო ფინანსთა სახ. კომისარიატის მუშაობით.

### ეროვნული კულტურის განვითარება.

ამხ. ორახელაშვილი შემდეგ დაწვრილებით შეეხო ეროვნული კულტურის მდგომარეობას ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში და ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ მდგომარეობას.

როგორც მოგახსენეთ საბჭოთა ხელისუფლება ამიერ-კავკასიის ერებისათვის მშვიდობიანობის დამყარებას ნიშნავდა. ამ მშვიდობიანობის განვითარება მხოლოდ ძმური თანამშრომლობით და შეთანხმებით შეიძლებოდა. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლიწადშივე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში დაიბადა გაერთიანების და შეთანხმების სურვილი. მაშინ ჩვენ ზოგიერთ საერთო საქმების ერთად მოსაგვარებლად საკავშირო საბჭო დავაარსეთ. ორი წლის უკან ჩვენ კიდევ მეტად დაახლოვების შემდეგ ძმური ფედერატიული კავშირი შევკარით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

### ამიერ-კავკასიის მთავრობა ეროვნულ ზავის და მშვიდობიანობის მთავრობაა.

**უკვე სამი წელია ვმუშაობთ ჩვენ თანხმობით და ამ ხნის განმავლობაში ჩვენს შორის არც ერთი გაუგებრობა და არც ერთი უსიამოვნობა არ მომხდარა.**

ასეთი მდგომარეობა არ იყო ამხანაგებო მაშინ, როდესაც ჩვენ პირველათ შემოვდგით ფეხი აქ. ამიერ-კავკასია ჩვენ წვეტიან მავთულებით და სანგრებით გადასერილი დაგვხდა აქ ძმათა შორის საშინელი სისხლის ღვარი იდგა, თოფის წამლის სუნი ტრიალებდა ყოველგან, ზარბაზნებისა და თოფიარაღის გუგუნი ისმოდა შეუწყვეტლათ. რა თქმა უნდა, ჩვენი პირველი საქმე მეომარ ერთა შორის ზავის ჩამოგდება მშვიდობიანობის დამყარება იყო. ჩვენ, ამიერ-კავკასიის მთავრობა, ჩვენს თავს ეროვნული ზავისა და მშვიდობიანობის მთავრობათ ვსთვლით.

ამის მეტი, რომ ვერაფერი გაგვეკეთებია ჩვენ, მხოლოდ ეს კმაროდა ჩვენი აქ მოსვლის გამართლებათ.

შემდეგ ამხ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ასეთი სწორი პოლიტიკის გამო საბჭოების მოწინააღმდეგე პარტიებს ნიადაგი გამოეცალა ფეხს ქვეშ და ისინი დაინგრენ. ის დაწვრილებით შეჩერდა აგრეთვე აგვისტოს აჯანყებაზე და მის გამომწვევ მიზეზებზე და სთქვა;

### ეგრედწოდებულ „აჯანყების" გაკვეთილები.

ეგრედწოდებული „აჯანყების" შემდეგ ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ მდგომარეობა და აღმოვაჩინეთ ზოგიერთი ნაკლი. გამოირკვა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას დასცილდა, რომ გურიის გლეხობის ნივთიერი მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო რადგან მას ადგილობრივ არავითარი შემოსავალი არ მოეპოება და ვერც ქალაქებში იპოვა რაიმე სამუშევარი.

ყველა ამ ნაკლის გამოსწორებას ჩვენ დაუყონებლივ შეუდექით.

ეს გამოსვლები გაკვეთილი იყო ჩვენი ხელისუფლებისათვის; აქ ჩვენ ბევრი რამ დავინახეთ ისეთი, რაც ჩვეულებრივათ არ გამოჩნდებოდა.

ჩვენ დავინახეთ, მაგ. რომ საქართველოს წითელი არმია სავსებით საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დარაჯი გამოდგა. ის როგორც ერთი კაცი ისე გამოვიდა საბჭოთა საქართველოს დასაცავად.

**ჩვენ მუშაობაში გვეხმარება კავკასიის სახელოვანი წითელ დროშოვანი არმიაც.**

**მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ არა მარტო ჩვენი მთავრობის, არამედ ყველა რესპუბლიკების და ჩვენი მშრომელი ხალხის აზრს გამოვსთქვამ თუ ვიტყვი: საკავშირო წითელი არმია ჩვენი მარტო სასურველი სტუმარი კი არ არის. არამედ ეს განუყრელი ძმაა დაჩაგრულ კაცობრიობის განთავისუფლების საქმეში.**

დასასრულ, ამხანაგებო, მე მინდა გამოვსთქვა რწმენა, რომ თქვენი გამოცდილებით—ჩვენ აქაც გავამტკიცებთ ლენინის საქმეს და გავამართლებთ ამხ. კალინინის იმედებს: ამიერ-კავკასიას ოქტომბრის რევოლიუციის დასაყრდნობ ასპარეზად გადავაქცევთ მისი გავლენის გასავრცელებლათ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებს შორის.

## საბჭოთა კავშირის შემოსავალ-გასავალი.

### ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება.

### ძლიერი იარაღი.

ბიუჯეტის (სახელმწიფო შემოსავალ—გასავალი) აღმშენებლობის ამოცანა მთავარი, მაგრამ უძნელესი ამოცანაა.

**ბუჯეტი ძლიერი იარაღია სახელმწიფოს ხელში მუშურ-გლეხური ქვეყნის კულტურულ და მატერიალურ კეთილ-დღეობისთვის.**

მტკიცე ბიუჯეტის შედგენა საბჭოთა მთავრობის უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენს.

### როგორ იქმნებოდა ბიუჯეტი.

სამოქალაქო ომის დროს არსებითად არ ყოფილა და არც შეიძლებოდა არსებულიყო სახელმწიფო ბიუჯეტი. მთელი სახსარი მიდიოდა წითელი არმიის შესანახად, ხმარდებოდა მუშათა და გლეხთა მტრების წინააღმდეგ ბრძოლას.

მაგრამ სამოქალაქო ომის შემდეგაც შეუძლებელი იყო საბიუჯეტო საკითხის ერთბაშად გადაჭრა.

ამისთვის საჭირო იყო დიდი მუშაობა. სამი წლის გაძლიერებული მუშაობა იყო საჭირო იმისთვის, რათა მტკიცე საფუძველი ჩაგვეყარა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.

დიდ ხანს ვსცხოვრობდით ჩვენ ქაღალდის ფულის, საბეჭდავ დაზგის ხარჯზე. მხოლოდ მტკიცე ფულს შეეძლო გამხდარიყო იმ ბიუჯეტის ბაზად, რომელიც მოეპება ამ ჟამად საბჭოთა კავშირს.

საინტერესოა აღვნიშნოთ, თუ როგორ თავისუფლდებოდა თანდათან ჩვენი სახელმწიფო ქაღალდის ფულის ნიაღვარისაგან.

1920 წელში, ნატურალურ ფონდის გამოკლებით, ბიუჯეტის 87 პროცენტს შეადგენდა ქაღალდის ფული (ემისიები).

1921 წელს ქაღალდის ფული ბიუჯეტში შეადგენდა 84 პროცენტს.

1922—23 წელში, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს, ქაღალდის ფულები შეადგენდა ბიუჯეტში მხოლოდ 29 პროცენტს.

1923—24 წელში ქაღალდის ფული შეადგენდა სულ 8 პროცენტს.

ხოლო 1924—25 წელში ქაღალდის ფული სრულებით არ არის.

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა უკვე თავი დაანება საბეჭდი დაზგის ხარჯზე არსებობას. ეს იმას ნიშნავს, **რომ დღეს სახელმწიფოს შემოსავალი სავსებით ჰფარავს მის გასავალს.**

**ეს არის მტკიცე ბიუჯეტი.**

### ფულის რეფ. წარმატებით ჩატარდა.

ფულის რეფორმა (მტკიცე ფულის შემოღება) წარმატებით ჩატარდა და მტკიცედ დადგა ფეხზე.

ფულის რეფორმამ დიდი სარგებლობა მოუტანა გლეხის მეურნეობას. **სასოფლო მეურნეობამ, მტკიცე და შეუცვლელი ფულის მეოხებით, იწყო გაძლიერება ჩქარი ტემპით.**

ბიუჯეტის შემოსავალ—გასავლის ნაწილები 1924—25 წელში გაიზარდენ 187 მილიონი მანეთით იმ საკანტროლო ჯამთან შედარებით, რომელიც გათვალისწინებული იყო ცაკ ს მე 2-ე სესიის მიერ.

ეს არის ახლად გამოჩენილი შემოსავალი, **რომელსაც ნიადაგი მოუმზადა ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდამ და განვითარებამ.**

### ჩვენი სახელმწიფოს შემოსავალი.

**ბიუჯეტის შემოსავალი დღეს უდრის 2 მილიარდ 279 მილიონ მანეთს.** შემოსავალი შესდგება შემდეგი შემოსავლის წყაროებიდან:

გადასახადები იძლევიან 1 მილიარდს. **აქედან 600 მილიონს** იხდის ქალაქი და 400 მილიონს სოფელი. მრეწველობა იძლევა 200 მილიონს.

აქედან სჩანს, რომ ჩვენი ბიუჯეტი უმთავრესად იქმნებოდ[a] ქალაქის გადასახადებისაგან.

### ჩვენი სახელმწიფოს გასავალი.

სახელმწიფოს მთავარ გასავალს შეადგენს: დახმარება სასოფლო მეურნეობას, მოუსავლიანობით დაზარალებულ ადგილებს, საბჭოთა ორგანოების განმტკიცებას სოფლად, ქვეყნის თავდაცვას, მსხვილი მრეწველობის აღდგენას (ქიმიური და ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა), სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობას.

მაგ., გასულ წელში განათლების საქმეს **მოხმარდა 81 მილიონი, ხოლო ამ წელში 140 მილიონი, სახალხო ჯანმრთელობის საქმეს მოხმარდა 20 მილიონი,** ამ წელში 35 მილიონი მანეთი.

**მიწადმოქმედებას გასულ წელში მოხმარდა 31 მილიონი, ამ წელში—56 მილიონი მან.**

უნდა აღინიშნოს, რომ [...] ბიუჯეტის გასავლის მუხლებ[ში] ითვლება ხარჯები, რომელი[ც] გამოწვეულია სტიქიური უბ[ე]დურებით.

**მოუსავლიანობასთან ბრძოლისთვის და დაზარალებულ გლეხთა დასახმარებლად [...] ხარჯულია 45 მილიონი 50[0] ათასი მანეთი.**

ლენინგრადის აღსადგენად 12 მილიონი მანეთი.

### რას სცდილობს ჩვენი მთავრობა.

სახელმწიფო და კომუნისტური პარტია დღეს იღებს მტკიცე ხაზს **სახელმწიფოს შემოსავლის გასადიდებლად მრეწველობის განვითარების, სასოფლო მეურნეობისა და** საქონლის ტრიალის გაძლიერების ხარჯზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ საგა[დასა]ხადო ტვირთი საგრძნობლა[დ] შეუმსუბუქდება გლეხობას.

## სესიის დახურვა.

7 მარტს დილით, სესიის დადგენილების თანახმად შესდგა საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მიერ გამოყოფილ კომისიების გაერთიანებული სხდომა დადგენილების შესამუშავებლად ბიუჯეტის შესახებ.

გარდა ამ კომისიისა ამხ. ორახელაშვილის კაბინეტში დილით მუშაობდა კომისია ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენების გამო რეზოლიუციის გამოსატანად.

დღის 1 საათზე გაიმართა სესიის მორიგი პლენარული სხდომა, რომელმაც მოისმინა **ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.**

საღამოს, სესიის უკანასკნელ სხდომაზე გაიმართა კამათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. მოსმენილ იქნა აგრეთვე კომისიების მოხსენებები ბიუჯეტის სასოფლო სამეურნეო გადასახადის და ამიერ-კავკასიის მთავრობის მოქმედების შესახებ.

**საღამოს დაიხურა მესამე სესია.** სესიის დახურვის წინ თა[ვ]მჯდომარე ამხ. ნარიმანო[ვი] სიტყვას აძლევს მისალმებ[ის]თვის მუშების და საზოგად[ოე]ბრივ ორგანიზაციების წარმ[ო]მადგენლებს.

საბოლოო სიტყვით გამოვ[იდა] და საბჭოთა კავშირის ცა[კის] და სრულიად უკრაინის ცა[კის] თავმჯდომარე ამხ. გ. ი. პე[ტ]როვსკი, რომელმაც საბჭოთა კავშირის ცაკის **მესამე სესიის მუშაობა გამოაცხადა** დამთავრებულად და სე[სია] დახურულად.

სესიამ ერთხმად მიიღო რ[ე]ზოლიუცია ბიუჯეტის, ამიე[რ]-კავკასიის მთავრობის ანგარ[ი]შის, სასოფლო—სამეურნ[ეო] გადასახადის შესახებ, სესიამ [მი]იღო აგრეთვე დადგენილე[ბა] ამნისტიის შესახებ, რომელ[იც] უმსუბუქებს სასჯელს ამიერ-[კა]ვკასიის ს. ფ. ს. რესპუბლი[კის] პატიმრებს.

დარბაზი ფეხზე დგება [და] მღერის „ინტერნაციონალს".

დადგენილების ანგარიში [შე]მდეგ № - ში.



## დივიზიის ცენტრალური ბიბლიოთეკა.

...ენი დივიზიის ცენტრალური ბიბლიოთეკა მოთავსებულია ...ამინტერნის ქუჩაზე № 5. ბიბლიოთეკა მდიდარია წიგ...ებით, როგორც ქართულ ისე რუსულ ენაზე. მოიძებნე... მრავალი წიგნი ყოველ დარგში, ბიბლიოთეკაში არის ყვე...ა გამოცემანი რუსულ და ქართულ გამომცემლობის, ტეხნი...ურად ბიბლიოთეკა სრულიად მოწყობილია. რუსულ ენაზე ...ვლება 16.000 ტომი, ქართულ ენაზე 3.000 ტომი. მდი...არია წიგნებით სამხედრო განყოფილება, რომელშიაც მოი...ძებნება ყველა ახალი გამოცემანი.

საერთო რიცხვი ხელის მომწერთ, რომელნიც სარგებ...ლობენ წიგნებით, უდრის 3000 კაცს.

ბიბლიოთეკასთან არსებობს ლამაზად მოწყობილი სამკი...თხველო, რომელიც ღიაა ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა. ...ილდის ქართულ-რუსულ თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთე...ბი. მკითხველების რიცხვი საშვალოდ უდრის 40 კაცს.

კომპანიების დროს, რომელნიც ტარდებიან ნაწილებში, ...მკითხველო აწყობს წიგნების ფართე გამოფენას, უშვებს ...რეკომენდაციო სიას და პლაკატებს.

უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ ჩვენი უფშემადგე...ლობა და წითელ არმიელები ნაკლებად ეტანებიან სამკითხ...ველოს. მკითხველები და ხელის მომწერები არიან განსაკუთ...რებით რუსულ ნაწილებიდან.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებმა უნდა აცნობონ გაზე...თის საშუალებით ქართულ ნაწილებს ბიბლიოთეკის არსებო...ბა, მისი მნიშვნელობა და წიგნების შემადგენლობა, რათა ...ახდეს ის პოპულიარული ქართულ ნაწილებში და შემოიკ...რიბოს თავის გარშემო ქართული მკითხველები.

ე. ხუციშვილი.

## „სასკოლო მეცადინეობა მეორე ლეგ. 2-რე ათასეულში.

თვე ნახევარი იქნება რაც ახალ გამოწვეულ წერა-კით...ხვის უცოდინარ წით. არმიელებს დაეწყოთ სასკოლო მეცა...დინეობა და სისტემატიურად გრძელდება. ყველა წერა-კით...ხვის უცოდინარი წით. არმიელები დიდათ დაინტერესებულ...ნი არიან რათა მიიღონ სწავლა განათლება, და განვითარე...ბული დაუბრუნდენ თავიანთ მშობლებს. ყველა წითელ-არ...მიელები დაკმაყოფილებული არიან სასწავლო ნივთებით. აგ...რეთვე დიდათ ხელს უწყობს მეცადინეობას სკოლის ოთა...ხები, რომლებშიდაც ჯგუფები ცალ-ცალკე არიან მოთავსე...ბულნი და ყველაში მოიპოება, დაფები, მაგიდები, და სხვა ...აჭირო ნივთები.

ცუდ-საქციელს წით.-არმიელებს შორის როგორც არის მაგ. სკოლიდან დეზერტირობა და სხვა ასეთებს ადგილი არ ჰქონია. ერთი სიტყვით ყველა წით.-არმიელები ცდილობენ რაც შეიძლება ადრე მოუღონ ბოლო თავიანთ უცოდინარეობას. გაიცემა თუ არა სწავლის დაწყების ნიშანი ყველანი ალტაცებაში არიან და დაწყობილი მიეჩქარებიან სკოლისაკენ.

თუმცა სასკოლო მეცადინეობა თითქმის ორ საათს გაგრძელდება, მაგრამ მაინც ეცოტავებათ, ასეთი სწავლით დაინტერესება ჩვენი წითელ-არმიელების, არა ნაკლებ როლს თამაშობს ამ საქმეში მასწავლებლის ენერგიული ხელი რისთვისაც ის დიდი მადლობის ღირსია.

წ. არმ. რახვილელი.

## წითელი ჯარის რიგებში მყოფ ქალთა შორის.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლას ყავს თანამშრომელი ქალები. ამ უკანასკნელ ხანებამდე მათ ნაკლები ყურადღება ჰქონდათ მიქცეული. ამ რამოდენიმე ხნის უკან ბიურო კოლექტივმა მხედველობაში მიიღო ეს გარემოება და ქალებთან სათანადო მუშაობის საწარმოებლად გამოყო ორი წითელი მეთაური, რომლებიც დაუყონებლივ შეუდგენ თავისი მოვალეობის შესრულებას.

თანამშრომელ ქალების უმეტესი ნაწილი თითქმის სრულიად უცოდინარები იყვენ წერა კითხვის. მიმაგრებულმა ამხანაგებმა შესძლეს მათთვის სკოლის მოწყობა, მოიწვიეს მასწავლებლები და სულ მოკლე ხანში მოხდენილი იქნა ქალებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. დღეს ჩვენი თანამშრომელი ქალები ჟურნალ-გაზეთებსაც თამამად კითხულობენ.

ქალებისათვის ცალკე მოწყობილი იქნა აგრეთვე ლენინის კუთხე. კუთხეში სისტემატიურად მოდის ჟურნალ-გაზეთები. სწარმოებს ხმა მაღალი კითხვა და სხვა.

ტარდება პოლიტ საათებიც. ხშირად იწვევენ მომხსენებელ ქალებს—ქალთა განყოფილებიდან, რომელიც აკეთებენ მოხსენებებს მათთვის საინტერესო სხვა და სხვა საკითხებზე.

ქალებში ცოდნის შეძენისადმი ინტერესი დიდია. ისინი ხშირად თვითონ მოითხოვენ მასწავლებლებსა და მომხსენებლებს. ამხ. ქალები დიდ დახმარებას გვიწევენ აგრეთვე პიესების დადგმის დროს. ისინი დიდი ინტერესით მუშაობენ ჩვენს დრამ წრეებში. ზოგიერთი მათგანი თხოულობენ პარტიაში მიღებას. საერთოდ ჩვენ თანამშრომელ ქალებს შორის მუშაობა ძლიერ გამოცოცხლდა. იმედია ჩვენი ამხანაგები მას უფრო გაღრმავებენ და განავითარებენ.

კორსანტი ჯაში.

## სასოფლო მეურნეობის დაზღვევა.

საბჭოთა ხელისუფლება მუ...დამ მზათაა დაეხმაროს ქალა...ქის მრეწველობას და სოფლის მეურნეობას.

ეს წერილი მიზნად ისახავს ...აღნიშნოს ერთი გარემოება, რაც ხელს დიდათ უშლის გლე...ხის მეურნეობას, მისგან და...მოუკიდებელ მიზეზების გამო განვითარებას და რომელის ...მოსპობას ეხმარება საბჭოთა ხელისუფლება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ზო...მად გლეხის მეურნეობის აღორ...ძინების და დაცვისათვის უნდა ჩაითვალოს სასოფლო მეურ...ნეობის დაზღვევის დაკანონე...ბა, რაც აუცილებელ დიდ სა...ჭიროებას წარმოადგენს ყვე...ლა სასოფლო მეურნეობის დარგისათვის. რატომ შეიქმნა საჭირო ასეთი ორგანოების დაარსება მთავრობის მიერ? იმიტომ, რომ მთავრობა ყოველთვის ზრუნავს მუშების და გლეხების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ, მისი ნაშრომის მოვლაზედ, რომ ამით მუშა და გლეხს, საშუალება მიეცეს, რათა თავისი ნაშრომით, და ნაოფლარით დაიკმაყოფილოს თავის თავი და სხვა მოთხოვნილებები ai სწორედ ამ მიზნის გასატარებლათ მთავრობამ დაარსა სოფლის მეურნეობის დაზღვევის ორგანო. ამ ორგანოს დაარსების საშუალებით, გლეხის მეურნეობა, ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნება, უბედური შემთხვევისაგან რასაც დიდ სარგებლობის მოტანა შეუძლია მეურნეობისათვის.

ჩვენ რომ შორს არ წავიდეთ დავასახელოთ რამოდენიმე შემთხვევა: სოფლის მეურნეს მოყავს პური, სიმინდი, ღვინო, და ეწევა მეხილეობას. შესაძლებელია თუ არა გვალვის გამო, სიმინდის ან პურის მოსავალი გაფუჭდეს? რასაკვირველია შესაძლებელია. შემდეგ, შესაძლებელია თუ არა ნიაღვრებმა და წყალდიდობამ გადალეკოს ნათესები? შესაძლებელია. არის თუ არა შემთხვევები, რომ სეტყვამ ან სიცივემ, გაანადგუროს ხეხილი? რასაკვირველია ესეც მოხდება. ამას გარდა, გლეხის მეურნეობაში შედის, მისი ცოცხალი ინვენტარი-ხარი, კამეჩი, ძროხა, ცხენი. ეს ცოცხალი ინვენტარი უსაჭიროესი საგნებია სოფლის მეურნეობისათვის, ურომლისოდაც გლეხი ვერ შესძლებს ოჯახის და მეურნეობის აყვავებას. სწორედ ზემო აღნიშნულების დაცვის მიზნით მთავრობამ დაარსა ეგრეთ წოდებული სოფლის მეურნეობის დაზღვევის ორგანო, სადაც ყველა გლეხ-მეურნეს საშვალება ეძლევა, თავის ნათესების, ხილეულების და ცოცხალი ინვენტარის, როგორც არის კამეჩი, ხარი, ძროხა, და ცხენი, ფასდება, თანახმათ, დამზღვევ ორგანოს ინსტრუქციებისა, სადაც ყოველ შეფასებულ ას (100) მანათად ღირებულ სამეურნეო დარგში განსაზღვრულ დროის განმავლობაში, გლეხი იხდის პროცენტს, 36 კაპეიკს. თუ კი გლეხს 100 ას მანეთად შეფასებული ნათესი ვენახი ან კამეჩი, ხარი, დაუზარალდა, ის იღებს დამზღვევ ორგანოდან სრულ (100) ას მანეთს. მაშასადამე, ჩვენ აქ ვხედავთ, რომ გლეხი აზღვევს თავის მეურნეობას და ყველა ღირებულ (100) ას მანეთში იხდის მხოლოდ 36 კაპეიკს. ამით ის უზრუნველყოფს თავის ნაშრომს. ამ საკითხის შესწავლა და მის ცხოვრებაში გატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობის დაცვისათვის, ამიტომ ჩვენი წ. მოლაშქრეები, რომლებიც დღეს, წითელ ყაზარმებში იმყოფებიან, უნდა დაინტერესდენ ამით, და ურჩიონ, თავიანთი ოჯახის წევრებს, რათა თავიანთი სამეურნეო დარგები დააზღვევონ და მით უზრუნველყონ უბედურ შემთხვევისაგან თავიანთ მეურნეობა.

ს. ლ—ძე.

# პარტიული ცხოვრება.

## მოხსენება ქალთა საერთაშორისო დღესასწაულზე.

6 მარტს შესდგა ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედის ღია კრება. დაესწრენ ასეულის მთელი შემადგენლობა.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1. ამხ. კაჭარავას მოხსენება ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ; 2. პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებების განხილვა და სხვა მიმდინარე საკითხები.

ამხ. კაჭარავამ მოკლედ გააცნო კრებას 8 მარტის დღესასწაულის ისტორია, მისი მნიშვნელობა და სხვა. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე თუ რა როლი ითამაშა ქალთა მოძრაობამ პოგრომებმა რუსეთში 1916 წელში, რომლებიც საქვეყნოდ გაჰყვიროდენ, მოითხოვდენ, რათა მათი ქმრები და შვილები დაებრუნებიათ პოზიციეებიდან, შეწყვეტილიყო საშინელი სისხლის ღვრა.

შემდეგ ამხ. ვრცლად შეეხო აგრეთვე ქალების თანასწორ უფლებიანობის საკითხს მამაკაცებთან. შეეხო ქალების მდგომარეობას კერძოთ რუსეთში თვითმპყრობელობის დროს და ქალების ეხლანდელ მდგომარეობასაც.

ბოლოს ამხანაგმა მოუწოდა წითელ არმიელებს, რომ სახლში დაბრუნების შემდეგ თუ მათში ოდნავ მაინც არსებობდა ძველებური შეხედულება ქალზე, სამუდამოთ აღმოფხვრა გულიდან და ხელი შეუწყონ ქალების საზოგადოებრივ საქმეებში ჩაბმას და გასწიონ ამისთვის საჭირო აგიტაცია. მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

დაბოლოს წაკითხული იქნა პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები და ჩვეულებრივი გამოცდებისა და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, დაადგინეს: „ლიძრას შუამდგომლობა დივიზიის პარტკომისიის წინაშე, რათა აღნიშნული ამხანაგების თხოვნები დაკმაყოფილებული იქნეს საერთო წესის მიხედვით."

სამხკორი შალაშინი.

## არტლეგიონის კომუჯრედის გაერთიანებული ღია კრება.

7 მარტს არტლეგიონის კლუბში შესდგა ამავე ლეგიონის კომუჯრედის გაერთიანებული ღია კრება.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები დასმული:

1. საერთაშორისო მდგომარეობა და 2. თებერვლის რევოლიუცია და მუშათა კლასი.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა არტსკოლის უნცროს მეთაურთა სამხედრო კომისარმა ამხ. კვირიკაძემ.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო თანამედროვე ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოების მდგომარეობას, და მათ (ევროპის სახელმწიფოთა) დამოკიდებულებას საბჭოთა ქვეყნებთან. განსაკუთრებით შეჩერდა ეხლახან მომხდარ რუსეთ—იაპონიის შორის დადებულ ხელშეკრულების მნიშვნელობაზე.

მეორე საკითხის ირგვლივ მოხსენება გააკეთა ამხ. მამალაძემ. მან აღნიშნა მუშათა კლასის როლი თებერვლის „რევოლიუციაში და ის მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს „ამ რევოლიუციის შემდეგ რუსეთში ბურჟუაზიის გამარჯვებას.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელმაც ცოცხალი ხასიათი მიიღო.

კრებას დაესწრენ როგორც კომპარტიის და კომკავშირის წევრები, აგრეთვე ლეგიონის უპარტიო შემადგენლობაც.

სამხკორი ლ—ო.

## კომუჯრედი ტერ-ნაწილში.

წითელ არმიის ტერიტორიალურ აღმშენებლობაზე გადასვლამ, საქართველოს ტერიტორიის სამხედრო მიჯნებათ დაყოფამ და სოფლად სამხედრო პოლიტმუშაკების შეკრამ-მჭიდრო კავშირი გააბა ქალაქს და სოფელს შორის.

ჩვენი პოლიტ-მუშაკები აქტიური მონაწილენი შეიქმნენ სოფლად ყოველივე კომპანიების ჩატარების, რასაც ამტკიცებს პროვინციაში მყოფ ჩვენი პოლიტ-მუშაკების საქმიანობა, მათი მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში და გლეხთა დამხმარე კამპანიების ჩატარება. მაგრამ ყოველივე ეს არ კმარა, არ კმარა, რომ მარტო პოლიტხელი ან მეთაური დაუახლოვდეს სოფელს. აქ საჭიროა მთელი წ. არმიელთა კოლექტივის და მის მეთაურ კომუჯრედის აქტივით ფართეთ შეჭრა სოფლის გულში. სოფლის პირ-ვარამის გაცნობა, დახმარება და სწორი გზის გამონახვა აი რა უნდა იდგეს თვითეულ ტერიტ. ნაწილის კომუჯრედის წინაშე. მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ კომპარტიის უკანასკნელი ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ"—ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარების ერთ-ერთ საშუალება უნდა იქნას ჩვენი კომუჯრედები,—რომელნიც ამასთანავე ერთად არ დაივიწყებენ თავიანთ პირდაპირ გზას და ფართედ გაატარებენ ცხოვრებაში ტერ-აღმშენებლობის პრინციპებს.

მძიმე ამოცანების წინაშე სდგანს ჩვენი კომუჯრედები და უნდა გამონახონ შესაფერისი გზა, სოფელთან დაახლოვებისთვის. ამისათვის უპირველესათ ყოვლისა საჭიროა პარტ-ორგანიზაციების წევრების

აღზრდა, რომელთაც მოუხდებათ კავშირი იქონიონ სოფელთან.

აქ—კი საჭიროა:

ჩვენი პარტიის სოფლად მუშაობის პოლიტიკის დაწვრილებით შესწავლა და გაცნობა თუ—რა საკითხის გარკვევა—შესწავლაში უნდა იღებდენ მონაწილეობას ადგილობრივი პარტკომის წარმომადგენლები. საჭიროა, რათა თვითეულ კომუჯრედის წევრს ღრმად ჰქონდეს შესწავლილი მიწის კანონი, გლეხთა დამხმარე კომიტეტების დებულება და სხვა.

სოფლად მუშაობის საკითხი დაკავშირებული უნდა იყოს ცვალებადი შემადგენლობის აღზრდაზე, მათი შესწავლა და ორგანიზაციულად შეკავშირებაზე—კომუჯრედის გარშემო—ვინაიდან ისინი უმთავრესი დაკავშირებელი ძაფები უნდა იყონ გლეხებთან და მათი დახმარებით ტარდებოდეს სამხედრო მუშაობის საქმიანობა.

ცვალებად შემადგენლობაში მყოფ აქტიურ ამხანაგებს პერიოდულად უნდა ევალებოდეთ მოხსენებების გაკეთება კომუჯრედის კრებებზე—მასი სოფლის შესახებ და დაწვრილებით უნდა იყოს შესწავლილი ყველა ის უარყოფითი მხარეები,—რომელიც მოიპოვება სოფლად და მოითხოვს გამოსწორებას. მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირით შესძლებენ ჩვენი ახალი პარტორგანიზაციებიც საკითხის მძიმე და რთულ ამოცანის სავსებით გადაჭრას.

ა. ბერიძე.

# სამხედრო საქმე

## ღამის სიბნელეში მოქმედება.

ყველაზე უფრო სახიფათოს ღამის სიბნელეში მოქმედების დროს წარმოადგენს გაგნება.

ირგვლივ არაფერი მოსჩანს ან კიდევ თუ მოსჩანს ისიც ძლივს, რუკას კითხვა და ადგილმდებარეობასთან შედარება თითქმის შეუძლებელია. ყოველივე საგანი სხვანაირათ გვეჩვენება ვიდრე ის სინამდვილეშია. ხანდახან კარგათ გაცნობილი ადგილზეც მოსალოდნელია დაბნევა. მზვერავები გზის გასაგებათ ან კიდევ საზვერავათ გაგზავნილები ღამის სიბნელეში იმალებიან და ხშირათ უკანაც ველარ ბრუნდებიან. ამიტომ ხშირათ მთელი სპა, მთელი ერთეულები გზას ცდებიან და კარგავენ მიმართულებას.

ამის თავიდან ასაცდენათ ისევ დღისით უნდა იქმნას მიღებული შემდეგი ზომები: 1. შესწავლა ადგილმდებარეობის, სადაც ბრძოლა იქნება.

2. აღნუ'ხა ნიშნებით მიმართულების (ბოძებით, ქოცნით. და სხვა).

3. სადარაჯოების დაყენება გზადაგზა.

4. მზვერავებისა და გამყოლების მომზადება სპის მეგზაურებათ.

საზოგადოთ ღამის სიბნელეში მოძრაობის დროს განუწყვეტლივ თვალყური უნდა ადევნოთ ყიბლანს.

შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში მოძრაობის მიმართულების აღნიშვნა სხვადასხვა ფერ'ის შუშხუნებით.

მეტ სიბნელეს წარმოადგენს ბურუსიან ღამის სიბნელეში მოძრაობა. უფრო ადვილია მთვარიან ღამეში, მაგრამ ამავე დროს მოულოდნელობა და შეუმჩნევლად მოქმედება უფრო მოსახერხებელია ბურუსიან ან კიდევ წვიმიან ღამეში. ამით უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენს კავშირის დაჭერა.

უცხო ადგილზე უფროსებისა ან კიდევ უფროსების მიერ ხელქვეითების მიგნება ძნელი საქმეა. და ეს შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე ხნის დაკარგვის შემდეგ. ელსმენები და საზოგადოთ გამტარებლები დიდი სიძნელით გაიყვანებიან ან კიდევ დაზიანებულებთან შეკეთდებიან ხოლმე.

ზემო ჩამოთვლილ მიზეზების გამო ხშირია ისეთი მდგომარეობა ხოლმე, როდესაც ჯარები თავიანთ ნაწილებს უჩნენ ცეცხლს ან კიდევ შიშს ეძლევიან და გარბიან სრულიად უმიზეზოთ.

ღამის სიბნელეში შესაძლებელია შეუმჩნევლად მოძრაობა. ეს ერთი მეტათ მნიშვნელოვანი მხარეც აქვს ღამის სიბნელეში მოქმედებას.

დღევანდელ განვითარე ულ ავიაციის პირობებში ყოველგვარი გადაჯგუფება-გადმოჯგუფება ჯარების შესაძლებელ ია მხოლოდ ღამის სიბნელეში. უკანასკნელი ერთად ერთი საუკეთესო საშვალებაა შენიღბვისა.

ღამღამობით მოძრაობა ამიტომ ხდება არა მატო მოპირდაპირის მახლობლათ არამედ მის მოშორებით. ღამის სიბნეში შეუმჩნევლად მოძრაობა კი საშუალებას იძლევა მოპირდაპირის წინ უეცრათ გამოჩენას.

უკანასკნელი საგრძნობ გავლენას ახდენს ბრძოლის შედეგზე.

მოპირდაპირის მახლობლობლათ მოძრაობისათვის აუცილებელია სიწყნარის დაცვა. დაუშვებელია ღამე თამბაქოს წევა, ქოცონის გაჩენება. შეძლების დაგვარათ ქვეითა ჯარებიდან გამოიყოფებიან ცხოველები ვინაიდან უკანასკნელნი ადამიანზე უფრო ეცემიან შიშს. საგრძნობლათ შეზღუდულია ღამის სიბნელში სროლის სინამდვილე. ის გარემოება, რომ ღამის სიბნელეში შეუძლებელია თვალთვალი და მასთან ერთად დამიზნებაც, ქმნის გულების ჰაერში კარგვას. ამ შემთხვევაში უკეთეს პირობებშია ტყვიამფრქვეველები და საზოგადოთ ქვემეხები, ვინაიდან მათ აქვსთ დასაყრდნობი. მათი დამიზნება მოსახერხებელია კიდევ დღისით და ღამით კი უკვე აღებული კორით აწარმოვოთ სროლა.

მართალია აქაც შეზღუდულია სროლის სინამდვილე მაგრამ იმდენი არა როგორც ეს შაშხანა თოფისა.

მ. ბ.

# სამხედრო ქიმია.

## ცეცხლის ტყორცნა.

ცეცხლის ტყორცნას მიმართავენ ომში არა მარტო მოპირდაპირის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად, არამედ მის (მოპირდაპირის) ზურგში ცეცხლის გაჩენის მიზნით. (საბარგულების დაწვა, გამაგრებული ადგილების, საარტილერიო საწყობების ქარხნების, სადგურების, პურის ნათესის, ტყეების სოფლების და სხვა განადგურება).

ცხადია სხვა და სხვა მიზნისათვის ხმარობენ ცეცხლის ტყორცნის სხვა და სხვა საშუალებებს.

ცეცხლის ტყორცნის ყველა ამ საშუალებათა განხილ ვის და მათი წარსულ მსოფლიო ომში ხმარებით გამოცდილებათა მხედველობაში მიღების შემდეგ სპეციალისტები და სამხედრო საქმის მცოდნე პირები სხვა და სხვანაირად აფასებენ ამ იარაღს.

ზოგიერთები ამბობენ, რომ ცეცხლის ტყორცნა მხოლოდ მაშინ იძლევა კარგ შედეგებს, როდესაც მას გამოიყენებს გამოუცდელი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ, ხოლო მეორენი კი ამბობენ, ტეხნიკის თანამედროვე მიღწევებისა და სამხედრო ქიმიის განვითარების დროს ის შეუდარებელი იქნება ბრძოლის დროსო.

ყოველ შემთხვევაში საჭიროა ამ იარაღის გაცნობა, რომ ყოველ საჭირო მომენტში შეგვეძლოს მისი სათანადოთ გამოყენება.

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც კვამლის ფარდა—საფარი ერთ და იმავე დროს შეიძლება იქნეს მხრჩოლავი ჰაირ საფარი, ისე მდუღარე „ცეცხლიანი“ ნივთიერებას შეუძლია საწამლავისა და მხრჩოლავი კვამლის როლი შეასრულოს. მარტო ამ მოსაზრებითაც სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ ცეცხლის ტყორცნის საქმეს.

განვიხილოთ ქვევით როგორი საშუალებანი არსებობენ და იხმარებიან ცეცხლის ტყორცნის საქმეში.

**როგორ არის მოწყობილი ცეცხლის მტყორცნელი.**

საერთოდ ცეცხლის მტყორცნელები იხმარებიან ორი მიზნით:

1) მოწინააღმდეგის ჯარისკაცების დასაწვავად და

2) ქარხნების, სადგურების და ტყეების ცეცხლის წასაკიდებლად მოწინააღმდეგის ზურგში.

ცეცხლის ტყორცნის საშუალებანი, სხვა და სხვა შემთხვევების დროს სხვა და სხვანაირია; ამასთანავე თვით მნთებარე ნივთიერებანიც საგრძნობლად განსხვავდებიან ერთ ერთმანეთისაგან.

მოპირდაპირის ჯარისკაცების წინააღმდეგ ცეცხლის მოქმედებისათვის იხმარებოდა ეგრედ წოდებული „ცეცხლის მტყორცნელები“ და ალის მტყორცნელები.

ასეთ ცეცხლის მტყორცნელები განიყოფებოდენ უმთავრესად სამ ტიპად:

**პატარა ცეცხლის მტყორცნელები. (გადასატანი).**

ამ ტიპის ცეცხლის მტყორცნელები პატარა ტანის არიან და ამასთანავე შედარებით მსუბუქიც; ასე რომ მისი ზიდვა და მოხმარება ადვილად შეუძლია ერთ კაცს.

მოქმედებაში მოყვანის შემდეგ ისინი ისვრიან მოპირდაპირის წინააღმდეგ ცეცხლის ნაკადს 50 ნაბიჯის მანძილზე.

ასეთი ცეცხლის მტყორცნელები კარგი მოსახმარი არიან მოპირდაპირეზე თავდასხმის დროს, (მის წინააღმდეგ იერიშის მიტანის პირობებში) ამასთანავე შეუდარებელი არიან იერიშისაგან თავდაცვის დროს.

ასეთი ცეცხლის მტყორცნელების მოქმედება, რომლებიც წარსულ მსოფლიო ომში იხმარებოდენ, არ აღემატებოდა ერთ წუთს. მხოლოდ ერთი წუთის განმავლობაში შეეძლოთ მათ ცეცხლის ნაკადის გამოშვება, მაგრამ მიზანში მოხვედრილი ალი ყველაფერს ანადგურებდა.

წარსულ მსოფლიო ომში ხმარებული ცეცხლის მტყორცნელები ისეთი იყვნენ, რომ ისინი გამოყენების შემდეგ უნდა გადაეზავნილიყვენ მოწინავე პოზიციებიდან ზურგში ხელახლად დასატენათ.

ახალი ტიპის ცეცხლის მტყორცნელები ალბად ისე იქნებიან მოწყობილი, რომ მათი ხელახალი დატენა შესაძლებელი შეიქნება თვით მოწინავე პოზიციებზე. და ამიტომ ისინი უფრო ხელსაყრელი და მძლავრი იარაღები იქნებიან ვიდრე აქამდე იყვენ.

ვ. ლ.

# ამბები სოფლებიდან

**გურიის გლეხკომების კონფერენცია.**

კვირას 8 მარტს ოზურგეთში გაიხსნა გურიის სამაზრო გლეხკომების ყრილობა. ყრილობას დაესწრო სოც. უზრუნვ. სახ. კომისარი.

**გლეხკომები განათლების ფრონტზე.**

საჩხერის გლეხკომებმა დაადგინეს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა წერა კითხვის უცოდინარეობის სალიკვიდაციო წრეების დაარსებაში.

**ინვალიდები შორაპ. მაზრაში.**

მთელ შორაპანის მაზრაში ამ ჟამად ითვლება 760 ომისა და შრომის ინვალიდი აქედან 418 ღებულობს პენსიას.

**გლეხების კომუნა,**

ახალქალაქის მაზრაში დ…
რსდა 2 სასოფლო სამეურნ…
კომუნა.

**მეფუტკრეობა იმერეთ…**

შორაპნის მეფუტკრეთა …
ხანაგობამ გადასწყვიტა შე…
ნოს 200 ძირი სკა.

# საბჭოთა არჩევნების მიმდინარეო…

## შორაპნის მაზრა.

— **გვენარეთის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 57 დეპუტატი. მათ შორის 7 კომუნისტია, 4 ქალი და 2 კომკავშირელი.

— **მოლითის თემი.** საბჭ…
არჩევნები დასრულდა. ს…
აირჩიეს 59 დეპუტატი. …
შორის 5 კომუნისტია, 1 ქა…
და 2 კომკავშირელი.

## ოზურგეთის მაზრა.

— **სილაურის თემი.** საბჭოში აირჩიეს 13 წევრი. მათ შორის 10 კომუნისტია და 2 ქალი.

— **არჩევნები ბრწყინვალეთ ჩატარდა.** შორაპნის სამაზრო საარჩევნო კომისიის თ…
ვმჯდომარე იტყობინება, რ…
იქ არჩევნები ბრწყინვალეთ მ…
მდინარეობს და ხალხი დი…
ალტაცებით გამოდის არჩევნ…
ზე.

# ახალი ამბები

— **ქიმმეგობართა საზოგადოების უჯრედი.** ქ. დივ. სამხ. პოლიტ-სკოლასთან დაარსდა საქ. ქიმმეგობართა საზოგადოების უჯრედი.

— **სასოფლო-სამეურნ. იარაღ. შეძენა.** მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატმა გადასდო 18 ათასი მანეთი სას.-სამეურნ. იარაღების შესაძენათ.

— **შრომის დაცვის განყოფილებამ** გამოსცა წიგნი, სპეცტანისამოსის, სპეც-საკვების და სხვა სპეც-ნორმების შესახებ.

— **ინვალიდთა არტელები.** ამ ჟამად მთელ საქართველოში ითვლება 52 მეტი ინვალიდთა არტელები.

— **ექიმების აღრიცხვა.** ჯ…
ნსახკომმა აიყვანა აღრიცხვა…
1.433 ექიმი. აქედან 680 ქ…
რთველია 348 სომეხი და 20…
რუსი დანარჩენი სხვა ეროვნ…
ბათაგან.

— **სადეზინფექციო კა…
რები.** მთელ საქართველოშ…
ამ ჟამად არსებობს 29 სად…
ზინფექციო კამერა.

— **დასაზღვევი შემოსავა…
ლი.** თებერვალში დამზღვევ…
სას შემოუვიდა 216.029 მან…
თი დასაზღვევი შემოსავალი.

— **სპეც-ტეხნიკუმები.** ს…
განათლების კომისარიატმა გ…
დასწყვიტა გააფართოოს სპ…
ციალურ ტეხნიკუმების რიცხ…

# ბიბლიოგრაფია.

**კოროლი, ა.-წითელი არმიისა და სამოქალაქო ომის-ისტორია. მ. გაზ.**

„კრასნაია ზვეზდას“ გამ. 1925წ. გვ. 222.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ჩვენ მივიღეთ გაზეთ „კრასნაია ზვეზდა“ს, გამოცემული ზემოთ დასახელებული წიგნი რუსულ ენაზე. მოზრდილი ფორმატისაა, 222 გვერდიანი და დაბეჭდილია სუფთად და ლამაზათ. წიგნი შეიცავს 19 პოლიტიკურ საუბარს წითელ არმიელებისათვის, რომელიც ეხება სამოქალაქო ომის დასაწყისის პერიოდს დღევანდელ დღემდე და აგრეთვე წითელ არმიის ისტორიას. საუბრები იწყება ოქტომბრის რევოლიუციიდან და გვაწვდის ცნობებს სამოქალაქო ომისა და წითელ არმიის ისტორიის შესახებ ცალ-ცალკე პერიოდებათ. აგრეთვე მოხსენებულია თანამედროვე სამხედრო ტეხნიკის საკითხები და საჰაერო ფლოტისა და „დობროხიმის“ ამოცანები...

თითეული საუბარი მტკიცე მეთოდის მიხედვითაა დამუშავებული. მოცემულია მეტათ მდიდარი მასალა, როგორ…
პოლიტიკურ, ისე ისტორიუ…
და ყოფა-ცხოვრების საკით…
ბისა.

ავტორის ამოცანას შეადგენ…
პოლიტხელებს და მეთაურებ…
პოლიტიკურ მეცადინეობისათ…
ვის საჭირო სახელმძღვანელ…
მიაწოდოს - წითელარმიელებისა…
თვის. შიგ მოთავსებულ მას…
ლას დიდი მნიშვნელობა აქ…
როგორც ისტორიულ, ისე პო…
ლიტიკურ თვალთახედვით დ…
ძვირფასია აღმზრდელობით…
მხარისათვისაც—

საერთოთ, წიგნი გამოადგე…
ყოველ პოლიტხელსა და მ…
თაურს წითელ-არმიელებთა…
მეცადინეობის დროს სახელ…
მძღვანელოთ, მხოლოთ ქართ…
ულ ნაწილებში ხმარების დრო…
საჭირო იქნება ზოგიერთ…
ადგილების ქართულ ყოფაცხო…
ვრების საკითხებით შეცვლ…
რომ უფრო გასაგები და მის…
წდომი იყოს წითელი არმიელ…
ათვის.

ანზორი

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.